ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 50

კვირა, 7 მარტი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 50

კვირა, 7 მარტი, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## ექიმი

დიმ. კონსტანტინეს ძე ერისთავი

(ოქრომჭედლების ქ., ს. თულაევისა № 40)

იღებს ავადმყოფებს—სადოსტაქარო (ხირურგ.) სნეულებანი — დილის 10-დგან—1 საათამდის.

(7—20—7)

## საქართველოს სიძველეთსაცავის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ქვემოდ დასახელებულნი, ამავე კომიტეტის საჟურნალო დადგენილების თანახმად, მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესმა ფლაბიანემ, საქართველოს ექსარხოსმა, ამ წლის 25 იანვარს დაამტკიცა სიძველეთ საცავის კომიტეტის წევრებად: ქვაბთახევის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი დოსითეოსი, დეკანოზი დავით ღამბაშიძე, გურია-სამეგრელოს ეპარქიის საეკკლესიო სკოლების მეთვალყურე თ. ჟორდანია, კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლათა ინსპექტორი ე. მამინეიშვილი, გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი, ბ. ბოჭასაშვილი, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ი. სანებლიძე, ქუთაისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი მ. ჩოგოვაძე, იმერეთის ეპარქიის საეკკლესიო სკოლების მეთვალყურე მღვდელი მელიტონ კელენჯერიძე, მღვდ. პოლიევქტოს კარბელაშვილი, თელავის სასულ. სასწავლებლის მასწავლებელი ვას. ბარნოვი, დეკანოზი მ. ხელაშვილი, დეკანოზი დიმიტრი ხახუტაშვილი, ტფილისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის მასწავლებელი ი. როსტომაშვილი და საგლეხო საქმეთა საგუბერნიო კრებულის მდივანი ალ. ყიფშიძე.

სიძველეთ-საცავის კომიტეტის თავმჯდომარე **კირიონი, ეპისკოპოსი ალავერდისა.**

სიძველეთსაცავის კომიტეტის მდივანი ილ. ფერაძე.

## პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ა. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი**—6½—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ)

## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა ბ ა რ ნ ო ვ ი—ბორჩალოს მაზრის ექსტრენოფელდის ბოქაულის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად.

## ახალი ამბავი

*** გუშინ წინ, 5 მარტს, დასრულდა საგანგებო კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა. ეს დღე კრებამ მოანდომა წინადელის კრების ოქმების წაკითხვასა და ხელის მოწერას. წინა დღეს-კი, 4 მარტს, კრებამ შემდეგი საგნები განიხილა: 1, ტფილისის გუბერნიაში მიწების გამიჯვნის საქმის დასაჩქარებლად რა ღონის-ძიების მიღებაა საჭირო; 2, შუამდგომლობის აღძვრა იმის შესახებ, რომ თავად აზნაურობას ნება მიეცეს სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებიდგან სესხის გატანისა და 3, მეფე ირეკლე II სახელობის სტიპენდიების დაარსება.

პირველი საგნის განხილვის დროს კრებამ მოისმინა თავ. ი. გ. ამილახვრის მიერ წარდგენილი პროექტი იმისა, თუ რა ზომების მიღებაა საჭირო მიწების გამიჯვნის საქმის დასაჩქარებლად.

უფრო საყურადღებო ამ პროექტში შემდეგი სამი მუხლია: 1, მიწის გამიჯვნის შესახები ყველა სადაო საქმე განხილულ უნდა იქმნას უეჭველად ადგილობრივ; 2, სადაო საქმეების განხილვა და გარდაწყვეტა უნდა მიენდოს 4 კაცს, ამათგან 2 კაცი, ოლქის სასამართლოს მიერ გაგზავნილი, მთავრობისაგან იქმნება ბ ორიც თავად-აზნაურობისაგან. 3, ამ რიგად შემდგარ სასამართლოს მიენიჭოს სამედიატორო სასამართლოს უფლება და იმის გარდაწყვეტილება საბოლოო იყოს.

კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა ამ საგნის შემუშავება მიანდოს კავალერიის გენერალს თავ. ი. გ. ამილახვარს, ამასთან ნება დართო მას მიიწვიოს მცოდნე კაცები ამ საგნის შემუშავების დროს.

მეორე საგნის შესახებ კრებამ დაადგინა მიანდოს გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს შეადგინოს განსაკუთრებული კომისია ამ საგნის შესამუშავებლად და გამოსარკვევად.

კრების დადგენილებით განსაკუთრებულ კომისიასვე უნდა გარდაეცეს მესამე საგანიც,—ერეკლეს სახელობაზედ სტიპენდიების დანიშვნის შესახებ. ამ საგნის განხილვის დროს კრებამ მოისმინა ნ. ზ. ცხვედაძის წერილი, რომელშიაც იგი ურჩევს თავად-აზნაურობას დაარსებულ იქმნას სამი სტიპენდია (თითო 200 მანეთი წელიწადში) ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში, 3 სტიპენდია (თითო 600 მანეთი) სათავად-აზნაურო სკოლაში იმ სწავლა-დამთავრებულთათვის, რომელნიც რუსეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტში კურსის დასრულების შემდეგ საზღვარ-გარედ დაპირებენ წასვლას სწავლის გასაგრძობლად, ამისათვის უნდა გადადებულ იქმნას ყოველ წელიწადს 2,400 მან. ვიდრე განსაკუთრებული ფონდი არ შესდგება და, დასასრულ, ყოველ წელიწადს ქარვასლის შემოსავლიდგან გადადებულ იქმნას სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ ამ სკოლის შენობის ასაგებად ათას-ათასი თუმანი.

ბ-ნ ნ. ზ. ცხვედაძის წინადადება და აგრეთვე წინადადებანი თავ. ლეონიძისა და გენერალ-ლეიტენანტის

## ფელეტონი

### სამი სხივი ნეტარებისა

I

პირველი სხივი ნეტარებისა,
რომელიც ჭაბუკს მომეალერსა,
იყო ის სხივი, როცა იმედმა
სიმხნე სულისა ჩამომიკვესა,
დადგა ჩემს მცველად, ნუგეშის წყარო
გადმოაპკურა ამ სევდიანს გულს,
დამპირდა ძალას კაეშანთ მაბრძოლს,
მტერთაზედ ძლევას, ხალხის სიხარულს...
„დავაქკაცდები—ჩამიგალობა—
ბრძოლას გაუწევ ცხოვრებისა ძალს,
არ შეუდრკები აწმყოს დაცემულს
და მოესწრები სანატრ მომავალს!"
იმა წუთიდამ კაეშანს, ვარამს
აღარ გავურბი, აღარ ვსთვლი არად,
მომავალს ველი, ვჰგრძნობ ნეტარებას,—
და იმედს ვეტრფი მარად და მარად...

II

მეორე სხივი ნეტარებისა,
რომელმაც გული გამიხალისა,
იყო მოვლენა ზე-შთაგონების,
მისაგან მოძღვნა მგოსნის ჩანგისა.
ოცნების ფრთებით ზე აღმაფრინა,
მაჩვენა ცანი, კაცთა სოფელი,
მასმინა ხმანი ციერთ გალობის
წმიდა მცნებათა გამომსახველი;
ხატად და რჯულად დამიანდერძა
ძმათ სამსახური და ერთგულება,
სამშობლოსადმი მძლე სიყვარული,
სამსხვერპლოდ მისთვის განწირულება;
ამიწყო ტკბილად სიმნი ჩანგისა,
მადლის და შვების წყარო მაჩვენა,
სიტყვა-კაზმულად ამაგალობა,
მიკურთხა შუბლი, გრძნობა და ენა;
იდუმალ ძალას ხალხის სურათი,
ბუნების სახე აღებინა,
ღვთიურის ცეცხლით გულს ჩამისახა,
მეც ერის გულში აღმიგო ბინა...
შეერთდნენ: ჩანგი, ტკბილი იმედი,—
მიცისკროვნებენ სულსა და გრძნობას,
ცაში მიხვეჭენ დიდებას აზრთა
და მოძმეთ შორის ძმურს თანაგრძნობას...
ბედნიერი ვარ!.. ვმგოსნობ, ვიმღერი,
ბუნებას ვეტრფი, ხალხსა ვემსახურებ,
ვხედავ სიმბოლოს წინ-მსვლელობისას
და განთიადის ვარსკვლავს შევყურებ!

III

მესამე სხივი ნეტარებისა,
რომელიც, ვითა ლამპარი ცისა,
მაცისკროვნებლად გარდმომეფინა,—
მამცნო სიტკბონი უკვდავებისა,
იყო ის წამი, როს სიყვარულმა
ჩემს გულზედ დარგო ია და ვარდი,
შემაკავშირა ჩემს სულის დგმასთან,
გამიმრავლკეცა გრძნობათ ნავარდი!..
მიყვარს და ვეტრფი!.. სიკვდილი არ მრწამს,
ნაღველი, სევდა ვერ მეკარება,—
მისს შავს თვალებში ისახვის ზეცა,
მისს ნაზს სახეში—თვით ნეტარება;
მასთან საუბარს სული ლოცვად სთვლის,
მისს ეშმაკ ღიმილს—სანატრელ წამად,
მისს საიდუმლო თვალებით გაასხ—
სამარადისო სიცოცხლის ნამად...
ხან მიჯავრდება, ხან მემალება,
მით მიძლიერებს სახმილს და ალებს,
მაგრამ მისაგან ჩემი წვალება
ნეტარებათ სწამს ჩემს სულის ძალებს!..
„არ შეგეშინდეს—მეხმატკბილება
ჩანგი... იმედიც მას მეუბნება,—
ადრე, თუ გვიან შეგიკავშირებს
შენი ლამაზი, შენი ღვთაება;
ვერცა წამება, ვერცა სამარე
ვერ დაგაშორებს შენს მზეს, სულიკოს,
და ვინც დასძრახოს ეგ შენი გრძნობა,
საშვილი შვილოდ ღვთისგან კრულ იყოს!"
მრწამს ეს სიმღერა,—ვუმღერი ჩემს ვარდს,
უიმედობა ჩამოვიცალე,
მიწად ქცეულსაც ის მეყვარება,
მისი ჭირიმე, მას ვენაცვალე!..
აღარ მრწამს ქვეყნად სხვა რამ დიდება,
არც მსურს სხვა მადლი მოვლინებული,
ჩემი დიდება და სიცოცხლეა:
იმედი, ჩანგი და სიყვარული!..

გრ. აბაშიძე

## ცივილიზაცია და ეხლანდელ ხალხთა მდგომარეობა.

მეცნიერება გადმოგვცემს, რომ იყო დრო, როდესაც ადამიანი თავისის სულიერ და ზნეობრივ აგებულებით არაფრით არ განირჩეოდა სხვა დანარჩენ სულიერ არსებათაგან; ადამიანი მუდმივ ბრძოლაში იყო სხვა-და-სხვა გვარ მხეცებთან, რომ როგორმე საზრდო მოეპოვებინა, სცხოვრობდა უდაბურს ტყეებში და გამოქვაბულს კლდეებში. ერთის სიტყვით, მისი სულიერი და ფიზიკური მოთხოვნილებანი სრულიად არ განსხვავდებოდა პირუტყვთა მოთხოვნილებათაგან. ადამიანის მთელი არსება მხოლოდ იმად იყო მიმართული, რომ როგორმე შიმშილით არ მომკვდარიყო, რადგან ხშირად სხვა მხეცები სძლევდნენ თავისის ძალ-ღონით. მაგრამ ადამიანის არსებაში იყო იმგვარი ბუნებრივი ძალნიც, რომელთა წყალობით შესაძლო იყო მისი განსაკუთრებით განვითარება. რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენად ადამიანის ბუნებას უფრო მეტი განვითარება ეტყობოდა. ბოლოს დადგა ისეთი ხანა ადამიანის ცხოვრებაში, როდესაც მისმა გონებრივმა და სულიერმა განვითარებამ იმგვარ სიდიადეს მიაღწია, რომ სრული განცალკევებული ადგილი დაიჭირა დედამიწაზედ. ამგვარად, არსება, რომელიც დასაწყისში არაფრით არ განსხვავდებოდა პირუტყვისაგან, რომელიც მუდმივ ღრე-ტყეში დახეტიალებდა, დღეს შეიქმნა მბრძანებელი მთელის ქვეყნიერებისა, მთელი დედამიწა გადააკეთა თავის სურვილისამებრ. ადამიანის ძალა და დიდება განუზომელი შეიქმნა, რადგან ეს ძალა და დიდება დამყარებულია მის მრავალ გვარ ცოდნაზედ, რომელიც მან შეიძინა თან და თან მრავალ საუკუნის განმავლობაში ბუნების შესწავლით.

თუმცა აწმყო მდგომარეობა ადამიანისა ესოდენ ბრწყინვალეა, მაგრამ განა შეგვიძლიან ვთქვათ, რომ კაცობრიობა დღეს კმაყოფილია თავის აწინდელის მდგომარეობით? დღევანდელმა მისმა ბრწყინვალე მდგომარეობამ ვერ შესწყვიტა ბრძოლა არსებობისათვის; განათლებულ სახელმწიფოებში ეს ბრძოლა უმთავრესად ადამიანთა შორის ჰმოქმედობს; ბრძოლა არსებობისათვის არ შეწყვეტილა, იმიტომ-რომ ადამიანს არ ჰყოფნის მხოლოდ ჰაერი და წყალი, მას აქვს მრავალი სხვაგვარი მოთხოვნილება, რომელთა დაკმაყოფილება იწვევს ბრძოლას არსებობისათვის. თუმცა დასავლეთ ევროპის ხალხთა შორის დღეს პოლიტიკური თანასწორობაა, მაგრამ სამაგიეროდ სრული ქონებრივი უთანასწორობაა. მცირე ნაწილი საზოგადოებისა რიამ ცხოვრებითა სტკბება, უმრავლესობა მუდმივ ჰპან-

თავ. მ. კ. ამირეჯიბისა, პირველისა იმის შესახებ, რა დანიშნულება უნდა მიეცეს ბანკიდგან დასაბრუნებელ ფულს, ხოლო მეორისა—სათავად-აზნაურო სკოლის ერეკლეს სკოლად წოდების შესახებ, გარდაეცა იმავე კომისიას, რომელსაც სტიპენდიების საქმე აქვს მინდობილი. ამ კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: თავ. ი. გ. ამილახვარი, თ. დ. ზ. მელიქიშვილი, თავ. ილ. გრ. ჭავჭავაძე, თ. ნ. ზ. ერისთავი, ქ. ო. მამაცაშვილი, თავ. ა. ც. მუხრან-ბატონი, თავ. ი. ს. ჭავჭავაძე, თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილი, თავ. დ. ა. სუმბათაშვილი და თავადი ვ. გ. მაჩაბელი.

ყოველივე ეს მინდობილობანი ხსენებულმა კამისიებმა ისე მალე უნდა მოამზადონ, რომ წარდგენილ იქმნას განსახილველად იმ საგანგებო კრებისა, რომელიც მოწვეულ უნდა იქმნას ბანკის წარმომადგენელთა ასარჩევად.

*** გუშინ-წინ, 5 მარტს, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, როდესაც გათავდა ტფილისის გუბერნიის სათავად აზნაურო საგანგებო კრება, იმავე თავად-აზნაურობას კერძო ბჭობა ჰქონდა, სხვათა შორის, ტფილისის გუბერნიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ. დაადგინეს, ამ საგნის შესამუშავებლად განსაკუთრებული კომისია დააწესონ, რომლის წევრებადაც ამორჩეულ იქმნენ: თავ. დ. ზ. მელიქიშვილი, თავ. ი. გ. ჭავჭავაძე, თავ. ნ. დ. ანდრონიკაშვილი, ა. ფურცელაძე, ნ. ა. ტარსაიძე, ლ. დ. ყიფიანი, ნ. ლ. აბაზაძე, მ. ნ. ვეზირიშვილი, თავ. რ. კ. ვაჩნაძე და თავ. ვ. გ. მაჩაბელი. ამ კამისიას დაავალეს მახლობელ საგანგებო კრებისათვის მოამზადოს თვისი მოხსენება და გუბერნიის მარშლის თანამდებობის ამსრულებელს აქავე სთხოვეს მომავალ საგანგებო კრებისათვის განსახილველ საგნად დანიშნოს ეს ნაფიცთა მსაჯულთა შესახები მოხსენებაცა.

*** მთავარ-მართებლის კანცელარიამ შეატყობინა ტფილისის გუბერნიის გამგეს, რომ უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს გარდაწყვეტილებით დადგენილ იქმნა 1, ქ. ახალციხის 4 კლასიან სამოქალაქო სკოლის შესანახად, იმ ფულის გარდა, რასაც დღემდის ხაზინა აძლევდა სკოლას, გადადებულ იქმნას კიდევ ხაზინიდგან სამის წლის განმავლობაში ყოველ წლიწადს 1,950 მანეთი, 2, განთავისუფლებულ იქმნას ქ. ახალციხე 1899 წლიდგან სამის წლის განმავლობაში 1,950 მანათის გარდახდისაგან, რომელიც აქამდის ხაზინაში შეჰქონდა ხსენებულ სასწავლებლის შესანახად; 3, განთავისუფლებულ იქმნას ახალციხე დარჩენილ სასკოლო გარდასახადისაგან.

*** კავკასიის მთავრობამ ნება დართო მხატვართ გამართონ ამ ახლო მომავალში ტფილისს სურათების გამოფენა. გამოფენა გამართული იქმნება სამხედრო-საისტორიო მუზეუმში.

*** ამ ახლო მომავალში შესრულდება 50 წელიწადი მას შემდეგ, რაც კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოება იქმნა დაარსებული. საზოგადოებას აზრადა აქვს ეს დღე იდღესასწაულოს. საზოგადოების საბჭო უკვე შეუდგა ამ დღესასწაულების პროგრამის შედგენას.

*** იმ სასწავლებელთაგან, რომელნიც კავკასიაშია დაარსებული, მიწადმოქმედების სამინისტროს ექვემდებარება შემდეგი 6 სასწავლებელი: ტფილისის საბაღოსნო სასწავლებელი, ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, დაბა თუაფსეში არსებული მევენახობის და მეღვინეობის სასწავლებელი, სოფ. ვოზდვიჟენსკაიაში არსებული დაბალი სატყეო სასწავლებელი, ყუბანის ოლქში ლაბინის ნაწილში არსებული საბაღოსნო და მეფუტკრეობის სასწავლებელი და საქარის ამერიკულის ვაზის სანერგესთან არსებული კურსები მუშა-პრაქტიკანტებისათვის. ყველა ამ სასწავლებელში 1898 წელს სწავლობდა 231 კაცი. სასწავლებლების შენახვას დასჭირდა სულ 71,010 მან. 90 კაპ. სხვებთან შედარებით უფრო მეტი დაიხარჯა ტფილისისა, ქუთაისისა, თუაფსესა და ლაბინის სკოლებზედ: პირველზედ—20,564 მან. 80 კაპ., მეორეზედ—17,622 მ. 37 კ., მესამეზედ—12,548 მ. 75 კ. და მეოთხეზედ—14,000 მანეთი.

*** როგორც ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებლის 1897—98 სამოსწავლო წლის ანგარიშიდგანა სჩანს, სასწავლებელში ხსენებულ წელს სულ 129 მოსწავლე-ქალი ყოფილა. მათ შორის პანსიონში სცხოვრობდა 99 ქალი, პანსიონს გარეთ—30. ქართველი ყოფილა 112 მოსწავლე, რუსი—14, ოსი—2 და ბერძენი—1.

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ კავკასიაში არსდება საქციონერო საზოგადოება, რომელსაც აზრად საწერ ქაღალდის მკეთებელ ქარხნების დაარსება აქვს. ეხლა გაზ. „კავკას“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ მთავრობამ დაამტკიცა ამ საზოგადოების წესდებაო. საზოგადოებას ძირის თანხად ნახევარი მილიონი მანეთი ექმნება. აარსებენ ამ საზოგადოებას თუმაევი, ადამოვი და აკოფოვი.

*** გორიდგან სწერენ „ახ. მიმ.“-ს, გორის მაზრის უფროსმა საგუბერნიო მთავრობასთან შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ქ. გორში პოლიციელთა რიცხვი გამრავლებულ იქმნას და თითო პოლიციელს თვეში 25 მანეთი ჯამაგირი დაენიშნოს.

*** როგორც იმავე გაზეთს სწერენ სოხუმიდგან, თავმჯდომარედ სოხუმის ქალაქის საბჭოს ხმოსნების მომავალ არჩევანების დროს გუბერნატორის მიერ დანიშნულ იქმნა სოხუმის ოლქის უფროსის თანაშემწე პოდპოლკოვნიკი დე-სიმონი.

*** ცხინვალის სოფლის საზოგადოებამ, როგორც „კავკასი“ იუწყება, შუამდგომლობა აღძრა კავკასიის უმაღლესს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ეპატიოს საზოგადოებას მასზედ დარჩენილი საკომლო და სხვა გარდასახადი, სულ 5,513 მან. 18 კაპეიკი.

*** გაზ. „კასპის“ სიტყვით, 3 მარტს, ბაქოში, ბაქოს გუბერნატორის ბ-ნ ვ. პ. როგგეს თავმჯდომარეობით კრება მომხდარა. ამ კრებაზედ ლაპარაკი ყოფილა ბაქოს საზღვაოსნო სკოლის უმაღლეს საზღვაოსნო სასწავლებლად გადაკეთების შესახებ.

*** სოფ. ქარჯანი, (კავკავის მაზრა). ამ სოფელში საოფლე არის გავრცელებული და დიდ ზარალსაც აძლევს ხალხს. ზოგიერთ სახლიდგან 4—5 მიცვალებული გამოასვენეს.

*** ს. ტობანიერი. (ქუთაისის მაზრა). ერთი წელიწადია მას აქეთ, რაც სახალხო სასწავლებლების დირექტორმა შუამდგომლობა გაგზავნა სახალხო განათლების სამინისტროში, რომ აქაურ ორკლასიან სასწავლებელის მასწავლებლების ჯამაგირების გასადიდებლად 500 მანეთი გადასდოს სამინისტრომ ყოველ წელს, იმ ფულებს გარდა, რომელიც შეაქვს ხაზინაში საზოგადოებას სასწავლებლის შესანახავად, მაგრამ ჯერ ჯერობით არაფერი ისმის, შეიწყნარა სამინისტრომ ეს შუამდგომლობა, თუ არა. როგორც შარშან, წელსაც ბევრმა მოიტანა აქ აბრეშუმის თესლი და ურიგებენ მსურველთ მეოთხედ მოსავალზედ, მაგრამ ხალხი ძლიერ დაშინებულია, რადგანაც შარშან უვარგისი თესლი ჩამოარიგეს და ბევრს ეზარალნა. ხალხი ყოველ დღე მოდის აქაურ ორკლასიან სასწავლებლის ზედამხედველთან და სთხოვს გამოუწეროს მათ ტფილისის საბრეშუმო სადგურიდგან შემოწმებული თესლი. ზედამხედველი დაეკითხა ტფილისის საბრეშუმო სადგურის მმართველს ბ-ნ შავროვს, თუ რამდენ კოლოფ თესლს უშოვის სოფელს, და რა ფასად; პასუხს ყოველ დღე მოელიან. ამას წინად სოფელ ჭყუში ერთს გლეხს გათენებისას მიუხდნენ ვიღაც უცნობი კაცები ქალის მოსატაცებლად. ახალგაზდა გლეხის ქალი დილით ადრე გარედ გასულიყო, მაშინვე შეენიშნა იქვე ლობეებთან მიმალული კაცები, ეკივლა და შევარდნილიყო სახლში. უცნობი კაცები გაქცეულიყვნენ.

*** ბათუმი. ამ დღეებში ბათუმში სტამბოლიდგან შემდეგი სამწუხარო ამბავი მოვიდა: სოფ. ხიხაბავრაში, ქართველ კათოლიკეთა პატივცემულ მოძღვრის ვარძელაშვილის მეთაურობით, აშენებენ ეკკლესიას. რადგანაც საკმაო ფული არ აღმოაჩნდათ, მოძღვარმა ისურვა სტამბოლში წასვლა და იქ სომეხკათოლიკეთა პატრიარქისაგან ნებართვის აღება ფულის მოსაგროვებლად. აქედგან მოძღვარი რომში აპირებდა წასვლას. პატრიარქმა მოძღვარს ვარძელაშვილს ჯერ პირობა მისცა თურმე, რომ მოწმობას მოგცემო და მეოთხე დღეს-კი უარი გამოუცხადა, მე შენ მოწმობას ვერ მოგცემ, რადგანაც შენ

---

წყვეტასა და ტანჯვაშია და არ არის დარწმუნებული, რომ ყოველთვის ექნება ერთი ლუკმა პური; თავისის განუწყვეტელის შრომით მხოლოდ საზოგადოების მცირე ნაწილს აკმაყოფილებს და ამდიდრებს. მეცნიერი ჰექსლი ამბობს, რომ იმ საკვირველმა ცოდნამ, რომელიც ადამიანმა შეიძინა მრავალ საუკუნის განმავლობაში და რომლის წყალობით მან მთელის ქვეყნიერების მფლობელობა მიინიჭა, ვერ შესძლო ადამიანთა ტანჯვისა და ვაების შემსუბუქება და მაშ სიცოცხლეს ქვეყნად რაღა ფასი ჰქონიაო? ჩემის აზრით, ისევ ის სჯობია, რომ გამოჩნდეს ისეთი კუდიანი ვარსკვლავი, რომელმაც აჰგავოს მთელი დედამიწაო. ანრი ჯორჯი-კი დარწმუნებულია, რომ ადამიანს გაჩენისავე პირველს დღეს რომ ჰკითხონ, სად გირჩევნია ცხოვრება—ავსტრალიის ველურ ხალხთა, თუ ინგლისის მდაბიო საზოგადოების შორისაო, იგი პირველს არჩევდაო.

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ შეძლებულთა რიცხვი ევროპაში შეადგენს მხოლოდ 17% დანარჩენ მცხოვრებთა; დღითი-დღე ღარიბთა რიცხვი ჰმატულობს, თუმცა კი საზოგადო სიმდიდრე ჰმატულობს ზოგიერთ სახელმწიფოში.

ამ გვარ უკიდურესს მდგომარეობას მიაქციეს ყურადღება მეცნიერთა და მწერალთა და თავისს მხრივ უკმაყოფილება განაცხადეს; ზოგიერთნი ამათგანნი სცდილობენ რაიმე საშუალება იღონონ აწმყო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამერიკელმა მწერალმა ბელლამიმ და სწერა თავისი შესანიშნავი რომანი „ასის წლის შემდეგ“, სადაც სცდილობს დაგვიხატოს სასურველი ცვლილება მერმისში ხალხთა ცხოვრებისა, აწმყო ხალხთა მდგომარეობა ბელლამის მოაგონებს ეტლს, რომელშიაც ზოგნი არხეინად სხედან, ზოგნი კი შებმულნი არიან და მიაქვთ ეტლი; ამ უკანასკნელებს პირველნი მხოლოდ მაშინ აქცევენ ყურადღებას, როცა ჰხედავენ, რომ შებმულნი ძლიერ დაიქანცნენ და ეტლს გადაბრუნება მოელის.

ამ მდგომარეობამვე ევროპაში გამოიწვია ერთი ფრიად შესანიშნავი მოვლენა. ჩვენ ვგულისხმობთ დაბადებულთა რიცხვის შემცირებას. ამ მოვლენამ უფრო ძლიერ თავი იჩინა საფრანგეთში, რაც, რასაკვირველია, მეტად აღონებს ფრანგებს. ბევრი თხზულება დაწერილა ამ საგნის შესახებ და ბოლოს დროს იმ დასკვნას დაადგნენ, რომ უმთავრესი მიზეზი ამ მოვლენისა დღევანდელის ცივილიზაციის წეს-წყობილებაა: ყოველ განათლებულ სახელმწიფოში და განსაკუთრებით საფრანგეთში საზოგადოება, ეკონომიურად რომ ავიღოთ, წარმოადგენს ერთს კიბეს, რომელიც შესდგება მრავალის საფეხურისაგან. ყოველი სცდილობს, რაც შეიძლება უფრო მაღალს საფეხურს მიაღწიოს, ამიტომ საჭიროა, რომ იმას ცოლშვილის უღელი არ ამძიმებდეს; ყოველს ღონის ძიებას ჰხმარობს, რომ ბევრი შვილი არ მიეცეს, Jpencer-ი, Fouill'ec და სხვები იმ აზრისანი არიან, რომ ცივილიზაცია, რა გვარიც ეხლაა დასავლეთ ევროპაში, ამცირებს დაბადებულთა რიცხვს. ამ მოვლენამ თავი იჩინა არა მხოლოდ საფრანგეთში, არამედ სხვა ხალხთა შორისაც; თუ დღეს საფრანგეთში ამ მოვლენამ უფრო შესამჩნევად იჩინა თავი, ამას, უმთავრესს მიზეზს გარდა, კიდევ სხვა მცირე მიზეზნიც ხელს უწყობენ. სტატისტიკური აღწერა გვიჩვენებს *), რომ რამდენადაც ხალხი უფრო მაღლა სდგას განვითარებით, როგორც, მაგალითებრ, საფრანგეთი, ბელგია, ნორვეგია, ინგლისი, იმდენად დაბადებულთა რიცხვი თან და თან კლებულობს, მაშინ როდესაც იმისთანა ქვეყანა, როგორიც ისპანიაა, რუსეთი და სხვა ამ გვარი სახელმწიფო, სადაც ხალხი ძლიერ ჩამორჩა განვითარებით სხვა ხალხს ევროპისას, დაბადებულთა რიცხვი სრულიად არა ჰკლებულობს.

ინგლისში მცხოვრებთა რიცხვმა ძლიერ იმატა მე-XVIII და მე-XIX საუკუნოებში, რაც უნდა მიეწეროს მაშინდელ ინგლისის ეკონომიურ მდგომარეობას: ეს სწორედ ის დრო იყო, როდესაც ინგლისელებმა დაიწყეს გადასახლება ამერიკაში და იქ შეჰქმნეს ახალ-შენები, მაშასადამე, ხალხს მიეცა საზრდოს მოპოების საშუალება.

1890 წ. ამერიკაში მცხოვრებნი აღრიცხეს და აღმოჩნდა, რომ, 68 მილიონის მაგიერ, რომელსაც მოელოდნენ, სულ 62 მილიონი ყოფილა. ესეც იმას ამტკიცებს, რომ ამერიკაშიაც მცირდება დაბადებულთა რიცხვი.

დაბადებულთა რიცხვი შესამჩნევად მეტია აღმოსავლეთ ევროპაში და აქედგან დაწყებული ეს რიცხვი თან და თან ჰკლებულობს რამდენად უფრო მიუახლოვდებით დასავლეთ ევროპას და ბოლოს ძლიერ მცირდება საფრანგეთში. იაპონიაში ამ ბოლოს დროს მკვიდრად დამყარდა ევროპიული განათლება; ხალხს დაეტყო კულტურული ზრდა და ამასთანავე სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ იაპონიაშიაც ამ ბოლოს დროს დაბადებულთა რიცხვმა კლება იწყო.

ამ გვარივე მერმისი მოელის ჩინეთს, როდესაც ამ ქვეყანაში ევროპიული ცივილიზაცია ფეხს მოიდგამს; ამ გვარად ის შიში, რომელიც ასე გაზვიადებულია ზოგიერთის მეცნიერის მიერ, ვითომ, თუ ჩინეთმა გაიღვიძა და იწყო მოძრაობა, სრულიად გაანადგურებს ევროპასაო, უსაფუძვლოა, რადგან ჩინეთსაც ის მოელის, რაც ეხლა ევროპის განათლებულ სახელმწიფოებს ემართება.

ზემოდ აღვნიშნეთ, რომ თუ საფრანგეთში უფრო ძლიერ შემცირდა დაბადებულთა რიცხვი, ამას, უმთავრესს მიზეზს გარდა, სხვა მცირე მიზეზნიც ხელს უწყობენო; ამიტომ მეცნიერი ლერუა — ბოლიე ჰფიქრობს, რომ ვიდრე სხვა დასავლეთ ევროპის სახელმწიფონი ჩადგებოდნენ იმ მდგომარეობაში, რომელშიაც ეხლა საფრანგეთია, გერმანია კიდევ მოასწრებს 75 მილიონამდის გამრავლებას, რუსეთი 300 მილ. და ინგლისი 30 მილიონამდისაო.

საზოგადოდ რაც შეეხება იმ შიშს, ვითომ დადგება ისეთი დრო, როდესაც დედამიწა ვერ შესძლებს საზრდოობას ყველა მცხოვრებლებისასაო, უსაფუძვლოა: ჯერ ერთი აგრონომებმა გამოიკვლიეს, რომ დედამიწას შეუძლიან გამოჰკვებოს თორმეტჯერ მეტი რიცხვი, ვიდრე ეხლაა დედამიწაზედ მცხოვრებნი; მეორე, ცივილიზაცია მერმისში ხალხთა გამრავლებას შეაბრკოლებს... მაგრამ რას დავეძებთ, თუ რა მოხდება რამდენიმე ათასის წლის შემდეგ, თუ კი დღეს ჩვენთა მოძმეთა უმრავლესობა ერთის ლუკმა პურის მოპოვების ტანჯვა-ვაებაშია. მერმისის ოცნებობას ისა სჯობია, რომ აწმყო მდგომარეობას კარგად ჩავუკვირდეთ.

ექიმი ბადრიძე

*) L'Indépendance Médicale № 52: La dépopulation en France.

თურმე ქართველობ და ეკკლესიის კარებზედაც ქართული წარწერა გაქვსო. ამის გამო პატივცემული მოძღვარი ჯარმელაშვილი უკანვე დაბრუნებულა.

ამის მიზეზი ისა ყოფილა, რომ ტფილისიდგან ერთს სომეხ-კათოლიკეთა მღვდელს კონსტანტინეპოლის სომეხ-კათოლიკეთა ეპისკოპოსისათვის წერილი გაუგზავნია და მიუწერია, რომ მანდ ერთი კათოლიკეთა მღვდელი მოდის ფულის მოსაგროვებლად და თქვენ ნება არ მისცეთ, რადგანაც იგი ქართველობსო. ეს წერილი პატრიარქს თვით მოძღვარის ჯარმელაშვილისათვისაც წაუკითხავს.

ასეთმა ამბავმა ბევრი საპატიო ქართველი კათოლიკე აღელვა და გაამწარა.

*** როგორც ადგილობრივი რუსული გაზ. იუწყებიან, დიდ-მარხვაში „საარტისტო საზოგადოების" დარბაზში, სალიტერატურო და სამუსიკო საღამო იქმნება გამართული დედათა სამკურნალო ინსტიტუტის შეუძლებელ მოსწავლე ქალთა სასარგებლოდ.

*** 5 მარტს სიღნაღის მაზრის სოფ. ახაშენის მცხოვრებმა სამსონ მაჭავარიანმა გამოუცხადა პოლიციას, რომ თამამშევის ქარვასლაში ყოფნის დროს ვილაცამ ჯიბიდგან ამომაცალა ფულის ქისა, რომელშიაც ერთი თუმანი ფული და ახაშენის საზოგადოებისაგან მისაღებ ფულის ბარათი მქონდაო.

*** 2 მარტს, დილის 9 საათზედ, რკინის გზის ბორჯომის შტოზედ, მე-19 ვერსზედ, ქვის მტვრევის დროს, მთიდგან ჩამოვარდნილა დიდი ქვა და დასცემიათ მუშებს ლევან გელაშვილს და რომანოზ ნასაძეს. გელაშვილი და ნასაძე ძალიან დაშავებულან. ორივენი რკინის გზის ტფილისის საავადმყოფოში გამოუგზავნიათ.

## მცირე შენიშვნა.

ამ წლის „ივერიის" მე-42 ნომერში დაბეჭდილია „წერილი განჯიდგან" ბ-ნის ლოლესი. ამ წერილში ნათქვამია, რომ განჯის ქართველობას ამ სამის წლის წინად „გარდაუწყვეტია წიგნების გამომცემელ ამხანაგობის დაარსება, ამოურჩევია სარედაქციო კომიტეტი, ორი ხაზინადარი და მსურველნიც მთარგმნელებად ჩაწერილან". ეს კეთილი განზრახვა ფორმალურად უკვე დამთავრებულა, მაგრამ დღემდის კი ჩვენ თვალით არ გვინახავს განჯელ ქართველთა ქართულნი გამოცემანი.... განჯელ ქართველთა განზრახვა დიახ რომ ფრიად კეთილია, თანაგრძნობის ღირსია, მაგრამ ჩვენ, ჩვენის მხრით, ქ. განჯაში ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის არსებობა მეტს ბარგად მიგვაჩნია. ქართველი ხალხის დაქვეითების მიზეზი, სხვათა შორის, ისიცაა, რომ მას რაღაც ურკვევი ძალა დაქსაქსვისა და დაქუცმაცების უფსკრულისაკენ მიაქანებს.

საქართველოში კარგა ბლომად იბეჭდება ქართული წიგნები. ქართულს წიგნებს ჰბეჭდავს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", ეს დაწესებულება, რომლის არსებობა და განვითარება თითოეულს ქართველს ძვირფასად უნდა მიაჩნდეს და ამიტომ მას ყოვლის ღონისძიებით უნდა ჰშველოდეს, ხელს უწყობდეს, ნივთიერად და ზნეობრივად ეხმარებოდეს. ქართული წიგნები ბლომად გამოსცა „ტფილისის ქართულ წიგნების გამომცემელმა ამხანაგობამ", და ქუთაისის ასე ამავე ამხანაგობამ, ქართულ წიგნებსავე ჰბეჭდავენ: ბ-ნი თავართქილაძე, ი. გოგებაშვილი, ი. როსტომაშვილი, ზ. ჭიჭინაძე, „მწყემსის" რედაქცია და სხვანი მრავალნი...მათნი გამოცემანი ათასობით, ათი ათასობით და ოცი ათასობით აწყვია ქართულ წიგნების მაღაზიებში ქ. ტფილისს და საქართველოს სხვა და სხვა ქალაქებსა, დაბებში და უნდა გამოვტყდეთ, რომ მეტისმეტად ნელის ნაბიჯით იყიდება.

შეგვიძლიან აღვნიშნოთ, რომ ქართული წიგნები დღეს უფრო გაცილებით მეტი იყიდება, ვიდრე წარსულს წლებში, მაგრამ ეს იმას არ ჰნიშნავს, რომ ამ წიგნების ბეჭდვის და გავრცელების საქმე სანატრელს ნიადაგზედ იყოს დამყარებული. ზოგიერთი წიგნი ათის წლის განმავლობაში ძლივს გაიყიდება. დაჭეშმარიტებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ქართულ წიგნების გამომცემლებიც და რიცხვიც წიგნებისა საქართველოში ბლომად არის... ამისათვის თითოეულის ქართველის ნატვრა უნდა იყოს, რომ ამ გამომცემლების საქმე კარგად წავიდეს, რომ იმათ გაყიდულის წიგნების ფასით დაჰფარონ მაინც ის ხარჯი, რომელიც სხვა-და-სხვა გამოცემას მოახმარეს. ეს გარემოება წაათამამებს და წიგნებს უფრო ბევრს გამოსცემენ და იაფადაც გაჰყიდიან, თორემ ვინ არ იცის რა ძვირად იყიდება ჩვენში ქართული წიგნი. ის ქართული წიგნი, რომლის ყიდვა რუსეთში ერთს შაურად შეიძლება, ჩვენში ხშირად სამ შაურად, აბაზად და ხან ხუთ შაურადაც იყიდება... გამომცემელი ქართულ წიგნებისა არაა დარწმუნებული მათს გასავალში და ამიტომ იძულებულია ცოტაც დაბეჭდოს, და წიგნს მეტი ფასი დაადოს, რომ ამის შემწეობით ის მაინც აიღოს, რაც გამოცემას დასჭირდა...თითოეულს წიგნს და გამოცემას ჩვენში ჯერ ათასი მყიდველი ჰყავს... ამის შემდეგ საკვირველი არ არის, რომ ჩვენ განჯაში ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის არსებობა მეტ ბარგად ჩავთალეთ.

გულწრფელად ვურჩევთ განჯელ ქართველებს, რომელთაც ცხადად ეტყობათ სიყვარული მშობლიურ ენისა და მწერლობის მიმართ, ბლომად გამოიწერონ ქართული ჟურნალ-გაზეთები და აქამომდე გამოცემული ქართული წიგნები და მით დაეხმარონ ქართულს მწერლობას... წინააღმდეგს შემთხვევაში მათი გამომცემელი ამხანაგობა ქვიშაზედ, უნიადაგო ადგილს აღშენებულს სახლს ემსგავსება და მალე მოსპობს თავისს არსებობას და ვერც შესამჩნევს სარგებლობას მოუტანს ქართველს საზოგადოებას. მართლაც ეს რომ ასეა, იქიდგან სჩანს, რომ დღემდის ამ ამხანაგობას არა გამოუცია რა. ბ-ნი კორესპონდენტი ამ გარემოებას ხსნის ქართველურ გულგრილობის მეოხებით და უსაყვედურებს განჯის ქართველობას ასეთს გულგრილობას. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუ ამხანაგობამ არა გააკეთა-რა აქამომდე, ეს ქართველურ გულგრილობის ბრალი კი არ არის, არამედ უფრო იმისი, რომ ამხანაგობის ზოგიერთს შეგნებულსა და წინდახედულს წევრებს თვით ამხანაგობის არსებობა მეტს ბარგად მიაჩნიათ და არ თანაუგრძნობენ, როგორც ისეთს დაწესებულებას, რომლის არსებობაც მოკლებულია საფუძველს, ცხოვრების ნამდვილს მოთხოვნილებაზედ დამყარებულს.

ორინიანი

# უცხოეთი

**ინგლისი.** ლიბერალურ დასის წარმომადგენლებს გუშინ კრება ჰქონდათ, რომელიც 24 თებერვალს დაიშალა. კრებაზედ სიტყვა წარმოსთქვა, სხვათა შორის, ლიბერალთა ახალმა ლიდერმა კამპბელ-ბანერმანმა, რომელმაც ლიბერალურ დასის მოღვაწეობის პროგრამა აღნიშნა. ეს პროგრამა კრების მიერ შეწყნარებულ იქმნა, თუმცა იმაშა ახალი არა არის-რა.

ბანერმანს კანონიერად მიაჩნია ირლანდიელების მეცადინეობა თვით-მართველობის მოპოვების შესახებ. ლიბერალური დასი არ უღალატებს ირლანდიელებსო, სთქვა მან, ისე როგორც თავისს თავსო, მაგრამ იმას-კი ვერ ვიტყვით, რომ როცა ქვეყნის მართვა ჩვენს ხელში გადმოვა, ჰომრული ჩვენი მოღვაწეობის უპირველეს საგნად გავიხადოთო. კრებამ, ბანერმანის წინადადების თანახმად, შემდეგი რეზოლიუცია შეიწყნარა: ჩამოერთვას ლორდთა პალატას უფლება, რომლითაც იგი საზოგადოებათა პალატის დადგენილებას აუქმებს ხოლმე; შემცირდეს მხედრობის რიცხვი ევროპაში და საზოგადოდ საზღვარი დაედოს შეთოფ-იარაღებას; სამართლიანი გადასახადი დაედოს მამულის მესაკუთრეებს, მოიჯარადრეთ და მთა-მადნების მწარმოებელთ; ქალაქისა და სოფლის მუშათათვის საცხოვრებელი სახლები იქმნას აშენებული; ამომრჩევლობის უფლების მისაღებად ერთს ადგილს ცხოვრების ვადა სამს თვემდის შემცირდეს; გაუქმებულ იქმნას უფლების ჩამორთმევა არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა; არჩევნების დროს მომხდარი ხარჯი მთავრობამ იკისროს ხოლმე; პარლამენტის დეპუტატებს ჯამაგირი ეძლიოთ; ღარიბ მოხუცებულებს შემწეობა მიეცეთ, მცირე წლოვანთა მუშაობის ვადა შემცირებულ იქმნას და სხ.

ყველა ეს საგნები გლადსტონის სიცოცხლეშივე ჰქონდა დადგენილი ლიბერალურ დასს. ახალმა ლიდერმა ეხლა თუ მოაგონა კრებას ეგევე საგნები, ეს უთუოდ იმისთვის, რომ როცა ეს დასი ჩადგება ქვეყნის სათავეში, პარლამენტს წარმოუდგინოს ისინი გარდასაწყვეტად.

—

**საფრანგეთი.** ერთ ინგლისურ გაზეთის კორესპონდენტს საუბარი ჰქონია გვიანის პროკურორთან, დარიუსთან, რომელიც, დიდი ხანი არ არის, რაც საფრანგეთში მივიდა. დარიუსუამბნია, თუ როგორ ჩამოართვა დრეიფუსს ჩვენება საკასაციო სასამართლოს მინდობილებით. მიმდინარე წლის 4 იანვარს პროკურორი დარიუსი საპყრობილეს კამენდანტთან ერთად დრეიფუსთან შესულა საპყრობილეში. დრეიფუსს არც-კი მოუხედავს იმათკენ, რადგან ჰგონებია, რომ დარაჯი შემოვიდაო. მაშინ კამენდანტს დანიელს მბრძანებლობის კილოთი შეუძახნია მისთვის. ტუსაღი ხმა ამოუღებლივ მობრუნებულა იმათკენ. როცა პროკურორს განუცხადებია მისთვის თავისი მისვლის მიზეზი, დრეიფუსს უპასუხნია: „კარგი, მაგრამ მე მარტო თქვენ უნდა გელაპარაკოთ, და არა ამ კაცთან ერთად; არა მსურს, რომ ჩემი სიტყვები ერთხელ კიდევ იქმნას გადასხვაფერებულიო". მაშინ დანიელი გასულა გარეთ და დარიუსი ჩვენების ჩამორთმევას შესდგომია. პროკურორი ორ საათს მოსდომებია ჩვენების ჩამორთმევას, და დრეიფუსს თავისის საქმის შესახებ ყველაფერი უამბნია მისთვის, რაც-კი რამ იცოდა, მაგრამ წერილობითი ჩვენების მიცემაზედ უარი უთქვამს. ამასთანავე მას რამდენიმე ოფიცერი დაუსახელებია, რომელთა სახელი ჯერ მოხსენებული არ ყოფილა დრეიფუსის საქმეში. ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ, პროკურორს უკითხავს მისთვის, — ხომ სათხოვარი არა გაქვს-რაო; დრეიფუსს უპასუხნია, რომ სამართლიანობის გარდა ჩემ შესახებ, არაფერიო.

დრეიფუსს ჯანმრთელობის ფერი აძევს თურმე, აქა-იქ ჭაღარაც აქვს გარეული წვერში; მას არაფერი არ სცოდნია მისი საქმის გამო ატეხილ განხეთქილების საფრანგეთში.

## სასამართლოს მატიანე

საერო სასწავლებლების ინსპექტორის ბოგდანოვისა და „Тиф. Лист." რედაქტორის ქ. გ. ხაჩატუროვის საქმე.

სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის განყოფილებაში ამ საქმის განხილვის დროს თავმჯდომარეობდა წევრი პალატისა ფრანცოვი, წევრებად იყვნენ ბ-ნნი ოპტოვცევი და გლუშანოვსკი. ბრალსა სდებდა ბრალმდებლის ამხანაგი ბ-ნი ივანოვი. სასამართლოში გამოცხადდა თვით ტფილისის გუბერნიის საერო სასწავლებლების ინსპექტორი სტატსკი სოვეტნიკი ბოგდანოვი, ხოლო ბრალდებული ქ. გ. ხაჩატუროვი არ დასწრებია, იმის მაგივრად დაესწრო ი. გ. ხაჩატუროვი ვექილად.

საქმის გარემოება შემდეგია.

გაზ. „Тиф. Лист."-ის 1898 წ. 13 მაისის მე-110 № ში დაბეჭდილი იყო წერილი შემდეგის სათაურით „არავისსა და არაფერზედ" („ни о комъ й ни о чемъ") ამ შინაარსისა: „ტფილისიდგან მიმქროლ მატარებლის მეორე კლასში ლაპარაკი ჰქონდათ ტფილისის დღიურ ვარამის შესახებ.—რასა ჰბრძანებთ, ვინ არ იცნობს იმ საძაგელსაო? ის ისეთი კაცია, რომ ადამიანი იმისათვის სახალინზედაც-კი დაიშურებს ადგილს. ბათუმში იმას ცხადად გამოუმჟღავნდა ქურდობა, მაგრამ ისე ხერხიანად იძვრინა თავი, რომ მეორე, თითქმის უკეთესს ადგილზედ გადაიყვანეს. საქალაქო კლუბში ხალხის წინაშე პირში ქურდს, „მერზავეცს" ეძახდნენ და გულ-გრილად ისმენდა, ჩაიცინებდა ხოლმე, ხუმრობად აქცევდა —ასე შეამოწმა იგი ბათუმელმა ინტელიგენტმა. უფრო ცუდი სახელი გაითქვა ახალციხეში. საქალაქო კლუბიდგან ორჯელ გამორიცხეს როგორც ქურდი და ბიწიერი კაციო, სთქვა აქციზის სამმართველოს მოხელემ, რომელსაც ახალციხეში ემსახურნა. ქ. შუშაშიაც, ერთი საზოგადო საქმე ჰქონდა მინდობილი და იქაც ქურდობა ჩაიდინაო, აუწყა იქ მყოფთ მესამე მობაასემ. ეს ლაპარაკი შეეხებოდა ერთის დღიურ ვარამის თვალ-საჩინო მონაწილეს და რკინის გზის ვაგონში შემთხვევით თავ-მოყრილნი სხვა-და-სხვა მდგომარეობისა და ხელობისანი ერთ გვარად ცუდად იხსენიებდნენ იმ კაცს. ის კაცი კი ეხლაც როლს ასრულებს და ჰმეთაურობს პატიოსან მუშაკთ". შემდეგ ამავე წერილში დაბეჭდილია ერთი ადგილი სასამართლოში გარჩეულ დუმბაძეს საქმის ანგარიშიდგან და მოყვანილია მოწმეთ გროზდოვისა და ბოგდანოვის ჩვენებანი.

აი, ამ წერილის შესახებ ტფილისის გუბერნიის საერო სასწავლებლების ინსპექტორმა სტატსკი სოვეტნიკმა ბოგდანოვმა ორი არზა მისცა 1898 წლის 5 და 21 ივლისს ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებელს, რომელშიაც აცხადებს, რომ წერილის პირველი ნაწილი მე შემეხება, რადგან: 1) იქ ნათქვამია, რომ აღნიშნული კაცი ბათუმსა, ახალციხესა და შუშაში მკვიდრთა მიერ ცნობილი იყო ქურდადა და „მაშენიკად", ახალციხის კლუბიდგან ორჯელ გამორიცხეს და ამისდა მიუხედავად, თითქმის უფრო უკეთესს ადგილზედ გადაჰყავდათო. აშკარაა, აქ ლაპარაკი თანამდებობის მქონე კაცის შესახებ არის, რომელიც მხოლოდ მთავრობის სურვილითი შეიძლება გადაყვანილ იქმნას ერთის ადგილიდგან მეორეზედ. სწორედ მე, ბოგდანოვი ვიყავი შუშასა, ბათუმსა და ახალციხეში ადგილობრივ საქალაქო სასწავლებლების ინსპექტორად და სამსახურისა გამო ღონისძიებასა ვხმარობდი ადგილობრივ მცხოვრებთა შორის შეწირულებანი მომეკრიბა, რათა სასწავლებლებთან საპროფესიონალო განყოფილებანი დამეარსებინა სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის შესასწავლად და მევე ვიყავი წევრად იქაურს კლუბებშიო. 2) წერილის მეორე ნაწილში პირდაპირ ნათქვამია, რომ ლაპარაკი იმ თვალ-საჩინო კაცის შესახებ იყო, რომელიც სცენაზედ გამობრძანდა დუმბაძის საქმის გამოო და, თუმცა სამარცხვინო წარსული აქვს, მაინც ჰმეთაურობს პატიოსან მუშაკთაო; დუმბაძის საქმეში-კი მონაწილეობას ვიღებდით მე და გროზდოვი, საერო სასწავლებლების დირექტორი; ამ ორში მხოლოდ მე ვმსახურებდი ქქ. შუშასა, ბათუმსა და ახალციხეში, რისაგანაც აშკარადა სჩანს, რომ გაზეთის წერილი სწორედ მე შემეხებოდაო.

რადგანაც გაზეთში დაბეჭდილი წერილი ჩემის პატიოსნებისა და სამსახურის ღირსების შეურაცხყოფად მიმაჩნია, ამიტომ გთხოვთ მიცემულ იქმნას სამართალში რედაქტორი გაზეთის „Тифлисскій Листокъ"-სა სასჯელთა დებულების 1034 მუხლის ძალითაო; დასახელებულ გაზეთის № 110 გარდა თვისის თანამდებობის კეთილად ასრულების დასამტკიცებლად ბოგდანოვმა წარადგინა რამდენიმე საბუთის ქაღალდი, რომლებიდგანაც სჩანს წეს-რიგიანობა და სიმართლე იმ ფულის ანგარიშისა, რომელიც ქველ-მოქმედებით ყოფილა შეგროვილი და დახარჯული სასწავლებლების საჭიროებისათვის. წარადგინა აგრეთვე პირი მოხსენებისა, რომელიც ახალციხის მაზრის უფროსს წარუდგენია ტფილისის გუბერნატორისათვის 1898 წელს 22 მაისს მე-33 ნომრით. ამ მოხსენებიდგანა სჩანს, რომ 1889 წლიდგან დაწყებული 1892 წლამდე ბოგდანოვი ყოფილა კლუბის წევრად და ამ კლუბიდგან არ გამოურიცხიათ. ყოველ ამის გამო გაზეთის „Тифлисск. Лист."-ის რედაქტორს ქ. გ. ხაჩატუროვს ბრალი ედება,

რომ ამ გაზეთის მე-110 №-ში, რომელიც იმის რედაქტორობით იბეჭდება, 1898 წელს 13 მაისს დაბეჭდა წერილი და იქ მოიხსენია ტფილისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების ინსპექტორის სტატსკი სოვეტნიკის ბოგდანოვის წინააღმდეგ ისეთი გარემოებანი, რომელთაც შეიძლება ზიანი მიაყენონ და ჩირქი მოსცხონ იმისს პატიოსნებას, კეთილს სახელსა და სამსახურის ღირსებას. დანაშაული ესე აღნიშნულია სასჯელთა დებულების 1039 მუხლში.

(დასასრული იქნება)

ტფილისის სამოსამართლო პალატამ ნაშუადღევის 4 საათზე გამოაცხადა შემდეგი განაჩენი: რედაქტორი გაზეთის „Тифл. Лист.“-სა ქ. გ. ხაჩატუროვი დამნაშავედ იქმნას ცნობილი და ამ დანაშაულისათვის მისჯოს სამის თვით ციხეში დაპატიმრებაო.

—

იმავე დღეს სამოსამართლო პალატას უნდა განეხილა საქმე „ცნობის ფურცლის“ რედაქტორის ვ. ლ. გუნიასი და გაზეთ „კავკასის“ რედაქტორის ვ. ლ. ველიჩკოსი, რომელთაც ჩერნომორსკის გუბერნიის სოჩის ოლქის უფროსი ბ-ნი გლაგოლევი დიფომაციის ბრალსა სდებდა. წაკითხულ იქმნა დეპეშა ჩერნომორსკის გუბერნატორისა, რომელმაც მოსწერა სასამართლოს: ბ-ნი გლაგოლევი სამსახურისა გამო სასამართლოში დანიშნულს დროს ვერ გამოცხადდებაო. სასამართლოში გამოცხადდნენ ვ. ლ. გუნიას მაგიერად ნაფიცის ვექილის თანაშემწე ბ-ნი გ. ბ. გვაზავა და ვ. ლ. ველიჩკო. ორთავემ ითხოვეს საქმე ბ-ნ გლაგოლევის დაუსწრებლად გაირჩესო. ხოლო ბრალმდებელმა ითხოვა საქმე გადიდვასო.

სასამართლომ ეს საქმე აღარ გაარჩია და ენკენისთვისათვის გადასდო.

## დამჭკვირდი

კაცი გემოს მაშინ იცნობს,
ოდეს ენა დასწოსა.

ვახტანგ VI

* * *

მაფერებელნი მოყვასნი მოგლენ და გედასებიან: მწერსავით სიტკბოს მოსდევენ, შენთან არ მოკვდებიან.

სულხან საბა

* * *

ომი კატობრიობის ბედის ჩარხია; იგი შეიქმს უდიდესს საქმეებს სიგმირისას; იგი აღვიძებს გრძნობას სიმხნისას; იგი ჭკვებავს და ჭდესავს ხასიათს.

გეორგ ვებერი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამერიკაში გაუკეთებიათ ფოტოგრაფიის უდიდესი მანქანა, რომლის შემწეობით უნდა გასინჯონ ხოლმე საეჭვო თამასუქები და ანდერძები და თუ ყალბი თამასუქია ან ანდერძი, ამ მანქანით გამოიკვლიონ და შეიტყონ. რადგანაც აქამდე მიუხედავად ხელმოწერის გადიდებისა ნამდვილად არ შეიძლებოდა კაცი დარწმუნებულიყო ყალბია რომელიმე ხელმოწერილი თამასუქი ანუ ანდერძი, თუ ნამდვილად იმის მიერ ხელმოწერილია, ვისი სახელობითაც შედგენილია ეს საბუთის ქაღალდები, ამიტომ გაუკეთებიათ ისეთი მანქანა, რომლის შემწეობითაც შესაძლებელია რომელიმე საგანი გადიდებულ იქმნას ისე, რომ 3,600 ჯერ მეტის ზომისა გამოვიდეს, ვიდრე თვით საგანია. ამ მანქანის შემწეობით დამტკიცდა სიყალბე ერთის თამასუქისა. თამასუქი იყო დაწერილი 22,000 დოლარზე (დოლარი ორ მანათს უდრის). აღმოჩნდა, რომ ციფრები 22 სხვა მელნით იყო დაწერილი და დანარჩენი სამი ციფრი 000 სხვა მელნით. მანქანას აქვს 6 ფირფიტა და შეერთებულია 25 ფუტის (7 ფუტი ერთი საჟენია) სიდიდის ტელესკოპთან. ამ მანქანისავე შემწეობით დამტკიცდა კიდევ სიყალბე რამდენისამე ანდერძის ქაღალდისა.

* *

ბერლინის მკურნალთა კრებაზე პროფესორმა გეიმსმა წაიკითხა ფრიად საყურადღებო მოხსენება შესახებ იმისა, როგორ ჰმოქმედობს ბაქტერიებზე ის გარემოება, თუ რითია შეღებილი ოთახის კედლები. თურმე იმ ოთახში, რომლის კედლები შეღებილია ცარცითა და კირით, ბაქტერია უფრო დიდს ხანსა სცოცხლობს, ვიდრე იმ ოთახში, რომლის კედლები შეღებილია ზეთიან წამლით. პროფესორი გეიმსი ამბობს, მე გამოვიკვლიე, რომ ხუნაგისა და ჭლექის ბაქტერია კირით შეღებილ კედლებიან ოთახში ერთი ათად უფრო მეტს ხანსა სცოცხლობს, ვიდრე ზეთიან წამლით შეღებილ კედლებიან ოთახში და ერთი ორად უფრო მეტს ხანს, ვიდრე ცარცით შეღებილ კედლებიან ოთახშიო. პროფესორმა ყოველივე ეს გამოიკვლია რკინისა და ხის ფირფიტების შემწეობით, რომლებიც რამდენსამე ხანს ინახებოდა ღუმელში. რადგანაც ეს გარემოება მეტად საყურადღებოა, ამიტომ მკურნალთა კრებამ გადასწყვიტა, რომ სახელმწიფო დაწესებულებათა და სასწავლებლების ოთახების კედლები ზეთიან წამლებით შეიღებოსო.

## გამოსადეგი ცნობა

—

კაზის სნეულებათაგან გადსარჩენად აი რა წამალს გვირჩევენ საფრანგეთის მეცნიერნი: აიღეთ წონით ასი წილი წყალი, ოც-და-ხუთი წილი სოდა და ერთად აადუღეთ, ადუღებულში ჩაუმატეთ ფხვნილი კანიფოლი ოც-და-ხუთი წილი ერთად-კი არა, ცოტ-ცოტაობით. როცა ცოტ-ცოტაობით კანიფოლი სულ ჩაემატება, ყველა ეს ნაწილები ერთმანეთში უნდა კარგად აირიოს იმ დრომდე, ვიდრე სულ ყველა ეს გაერთდება. შემდეგ ყოველივე ეს უნდა გაცივდეს. მერე უნდა ორ გირვანქა ნახევარი სპილენძის შაბიამანი (МѢДНЫЙ КУПОРОСЪ) გახსენით ოთხიდამ ექვს ნახევარ ვედრამდე წყალში და ზემოხსენებული წამალი ხუთი ბოთლი ჩაასხათ ამ შაბიამანის წყალში და კვლავ ჩაუმატოთ სოდა იმდენი, რომ არ დაემჩნიოს. ესე მომზადებული წამალი მაინც ძალიან ცხარეა და რომ გაანელოთ, იმდენი წყალი დაასხით რომ სულ 30 თუნგამდე დადგეს და ეს უკანასკნელი უნდა იხმაროთ კაზის შესასხმელად. ეს წამალი ძალიან ჭშველის თურმე კაზს ნაცრისა, მილდიუს და ნამეტნავად ბლეკ-როტისაგან.

## დეპეშა

5 მარტი.

**პეტერბურგი.** 5 მარტს, ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალნი იმპერატრიცანი მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული, დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე, დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული, დიდნი მთავარნი პავლე ალექსანდრეს ძე უავგუსტოესის შვილებითურთ, კონსტანტინე კონსტანტინეს ძე უავგუსტოესის შვილებითურთ, მიხეილ ნიკოლოზის ძე და ალექსანდრე მიხეილის ძე უავგუსტოესის მეუღლითურთ ბრძანდებოდნენ პეტრე-პავლეს სობოროში და ილოცეს ღვთივ განსვენებულ თავიანთ მშობლების საფლავებთან.

**ლონდონი.** „Times“-ს ატყობინებენ შანჰაიდგან, რომ იაპონიის მთავრობამ მოითხოვა დანიშნულ იქმნას იაპონიის სადამოქნო კომისარი ფოჩოუში.

**ხარკოვი.** აქაურს უნივერსიტეტსა და ორსავე ინსტიტუტში ლექციების კითხვა დაიწყეს.

**მოსკოვი.** დედათა შორის პრაქტიკულის სწავლა-ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ წარუდგინა მიწად-მოქმედების სამინისტროს პროექტი, მოსკოვის მახლობლად დედათა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაარსების შესახებ. ინსტიტუტში ასწავლიან მერძეობას, ფრინველთა მოშენებას, მებოსტნეობას, მებაღეობას და მეფუტკრეობას. სწავლის ვადა ორი წელიწადია.

**მოსკოვი.** მოსკოვის საგუბერნიო საერობო კრებამ გადასდო 1000 მანეთი სოფ. მიხაილოვის შესაძენ ფონდის სასარგებლოდ და დაადგინა დააარსოს სოფ. ზახაროვში, სადაც პუშკინის მამას მამული ჰქონდა, წიგნთ-საცავი.

**პარიჟი.** დღეს გარდაიცვალა სენატორი კრანცი, რომელიც 1878 წლის მსოფლიო გამოფენის მთავარ კომისარად იყო.

**სტოკჰოლმი.** პროფესორმა ნორდენშილდმა მიჰმართა მეფეს და სთხოვა, გაგზავნილ იქმნას მცოდნე კაცი ციმბირში იმის გამოსაკვლევად, მართალია თუ არა ლიალინის მიერ ნაუწყები ამბავი, ხოლო თუ მართალია ეს ამბავი, გვამების გადმოსატანად.

**ლონდონი.** აქ მყოფი ჩინეთის ელჩი დღეს დილით რომში წავიდა.

**პარიჟი.** ფაბრი შეეკითხა ესრედწოდებულს „საფრანგეთის სამშობლოს ლიგას“ მიერ აფიცრების გადაბირების შესახებ. ორატორმა სთქვა, რა პოლიტიკურ როლს თამაშობს ეს ლიგა და იკითხა: რად მისცეს ნება აფიცრების გადაბირებისა ლიგას, რომელიც თავისს წევრების სახელებს არ აქვეყნებს. ფაბრმა უსაყვედურა „სამშობლოს ლიგას“, სახელი წაიხდინა „პატრიოტთა ლიგასთან“ დამოკიდებულებითაო. ფაბრმა მოიხსენია დერულედის მიერ ჩადენილი საქციელი. რადგანაც ორატორი უქეიფოდ გახდა, კრება გადადვეს.

6 მარტი

**მადრიდი.** დედოფალმა—რეგენტმა მოაწერა ხელი დაბოლოვებითს პირობას მშვიდობიანობისას.

**ბერლინი.** რიტცაუულ თხოულობს დეპეშით გაგზავნას ცნობისას, რომ სტადლინგთან არავითარი ლაპარაკი არა მქონია და ამის შესახებ არც არა დამიბეჭდია-რაო.

**სტოკჰოლმი.** პროფესორის ნორდენ შელდის წინადადების თანახმად მეფემ ჰბრძანა 1,500 კრონი მიეცეს ფ. გ. მარტინს ციმბირში წასასვლელად იმ აზრით, რომ ანდრე მოსძებნოსო. მარტინი უკვე გაემგზავრა.

**პარიჟი.** რადგან სხდომის განახლებისას ფაბრს არ შეეძლო თავისის სიტყვის განგრძობა, ამის გამო სხდომა სამშაბათამდის გადაიდო.

**პარიჟი.** ხასიათის გამასწორებელმა სასამართლომ ხალხის დაუსწრებლად განიხილა საქმე სამსახურ გარეშე მყოფის ბუასონისა, რომელიც რეიმსში იქმნა დაპატიმრებული ჯაშუშობისათვის, და გარდაუწყვიტა ხუთის წლით ციხეში დაპატიმრება, 1,000 ფრანკის ჯარიმის გარდახდევინება და სამოქალაქო უფლებათა ჩამორთმევა. სასამართლომ ის აზრი გამოსთქვა,—სამწუხაროა, რომ კანონი ნებას არ გვაძლევს უფრო სასტიკ სასჯელის დანიშვნისასაო. ბუასონმა განაჩენი გულგრილად მოისმინა.

**პარიჟი.** პალატა. სახლვაოსნო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს ლოკრუამ განაცხადა, რომ ვცდილობდი და კიდევ ვეცდები რათა მხედველობაში ვიქონიო ფინანსთა მდგომარეობა და ამის კვალობაზედ უზრუნველ-ვყო ჩვენის ერის დაცვის საქმეო. „საფრანგეთი ვერ იყოლიებს ისეთს დიდს ფლოტს, როგორიც ინგლისსა ჰყავს, და ისეთს დიდს ჯარს, როგორიც გერმანიასა ჰყავს. თუ ომი გამოგვიცხადეს, უნდა შევიძლოთ მისი გაძლოლა. თუ გვინდა თავიდგან აეიცილოთ ომი, ძლიერნი უნდა ვიყვნეთ“ (ტაშის ცემა გაისმის). მტრის მოგერებას დასავლეთ სანაპიროებიდგან აღმოსავლეთ საზღვრის დაცვაზედ ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს. „ჩვენ ზღვათა თავისუფლება უნდა შევირჩინოთ. ვინიცობაა ომი მოხდა, ჩვენს უშველებელს ახალშენებსაც ძლიერი ფლოტი სჭირია დასაცველად“. წყლის-ქვეშეთმა ნავოსნობამ საფრანგეთში დიდი და მტკიცე ნაბიჯი გადადგა წინ. ეხლა საფრანგეთსა აქვს წყლის-ქვეშეთა გემი, რომელიც ჰეშმარიტს სამსახურს გაუწევს ქვეყანას როგორც ომიანობის დროს, ისე მშვიდობიანობის დროსაც. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცდას, ტულონში გამართულს, რომელსაც მეც დავესწარი. „ჩვენს წყლის-ქვეშეთს გემს დიდი ნაკლი ჰქონდა: იგი ბრმა იყო, თუ ასე შეიძლება ითქვას. ეხლა ეს ასე აღარ არის: ამ ბოლოს დროს გაუკეთეს თვალ ხილული მანქანა, რომლის შემწეობითაც მას შეუძლიან მტერს მიუახლოვდეს და შეგნებით მისცეს ვნება და ზარალი. ამ გვარად, საფრანგეთს ეხლა ხელთა აქვს ახალი, საშინელი იარაღი“. საფრანგეთს ხმელთა-შუა ზღვაში 15 ესკადრის ჯავშნიანი ხომალდი ჰყავს მაშინ, როდესაც ინგლისს ასეთი ხომალდი 10 მოეპოვება. მე ვცდილობ შევქმნა ერთის სახის ფლოტი და ვამცირებ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, სხვადა-სხვა სახეობას გემ-ხომალდებისას. შემდეგ ლოკრუამ შეაქო მეზღვაოსნენი და სთქვა, რომ საფრანგეთს ძლიერი ფლოტი უნდა მივცეთ,—და განახლება ამ ფლოტისა ყოვლად საჭიროა. „საფრანგეთს, მშვიდობიანობა ჰსურს, მაგრამ ფლოტი კი უნდა მოვაწყოთ, რომ ყოველთვის შეგვეძლოს თავს დაცემულ მტრის მოგერება. დასასრულ მინისტრმა თავისი მოსაზრებანი გამოსთქვა კერძო კაცთა იმ გემ-ხომალდების შესახებ, რომელნიც ბრძოლის დროს მთავრობას ეხმარებიან მტრის გემების დაჭერის საქმეში და დასძინა, რომ ასეთი „ომი უფრო შეესაბამება ფრანგთა ხასიათსაო“ (ტაშის ცემის ხმა გაისმის).

## ჩვენის საზოგადოების საყურადღებოდ *).

(წერილი რედაქციის მიმართ)

წარსულის წლის „ივერიის“ მე 206 №-ში წავიკითხეთ ბ-ნ შატბეროვის საყურადღებო წერილი ქართულის ენის მდგომარეობის შესახებ თერგის ოლქში. როგორც იმ წერილიდგანა სჩანს, თერგის ოლქში შედარებით დიდ-ძალი ქართველები სცხოვრობენ. მათ შესახებ ბ-ნი შატბეროვი მოგვითხრობს: „თავიანთ მიწა-წყალს მოწყვეტილ და აქ დასახლებულ ქართველებს 1840 წ. ენაც ქართული ჰქონიათ და კულტურაც, ასე რომ მაშინ ბურის სახელიც არა სცოდნიათ რუსულად. ეხლა-კი იმათი ქართული ენა თითქოს მთიულებისას წაგავს, ქართული კრთობ ღარიბია ქართულის სიტყვებითაო“.

მიუხედავად იმისა, რომ თერგის ქართველები კრთობ დაშორებულნი არიან შუა-გულ საქართველოს, დიდი ხნის განმავლობაში გარემოცულნი ყოფილან უცხო ელემენტით და ამდენი ხანი უცხოვრიათ უცხოვეთის ატმოსფეროში, მათ კიდევ შერჩენიათ თავისი ეროვნული ფიზიონომია. ეს მოვლენა ჩვენთვის (ქართველებისთვის) ფრიად სანუგეშოდ უნდა ჩაითვალოს. ხოლო თუ მივიღებთ მხედველობაში თერგის ქართველების ამ უკანასკნელ წლებში გადაგვარების გზაზედ დადგომას და სურვილს დედაენაზედ წერა-კითხვის სწავლის შეძენისას, რომელსაც ატხადებენ მკვიდრნი, ბ-ნ შატბეროვის სიტყვით, თავის თავად მისახვედრია ჩვენი მოვალეობა მათ წინაშე. ჩვენ ვალად გვაძევს აღმოვუჩინოთ შორს-გარდახვეწილ ძმებს ზნეობრივ თანაგრძნობასთან ერთად ნივთიერი დახმარებაც ქართულის წერა-კითხვის შესწავლის საქმეში. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ მთელ თერგის ოლქში მხოლოდ ერთად-ერთი ქართული სკოლაა (სახელდობრ შელკოზავოდსკში), რომელიც ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივ მცხოვრებთა გონებრივს მოთხოვნილებას. ამიტომ კიევის ქართველ სტუდენტობის ერთმა ჯგუფმა განვიზრახეთ ერთხელ კიდევ მივაქციოთ ქართველ საზოგადოების ყურადღება ბ-ნ შატბეროვის კეთილ განზრახულ წერილს, რათა არ დაივიწყონ თავიანთი წვლილი შელკოზავოდსკის სკოლისათვის აუცილებელ სახელმძღვანელო ნივთების შესაძენად; ხოლო ჩვენის გულწრფელ თანაგრძნობის ნიშნად ვაწოდებთ 15 მანეთს. ეს ფული უნდა გარდაეცეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომელსაც ვთხოვთ დაეკითხოს ბ-ნ შატბეროვს (წერილისთვის ვგზავნით 15 კაპ. მარკას), თუ რა ნივთები ესაჭიროება ხსენებულ სკოლას და ამისდა მიხედვით დააკმაყოფილოს იგი.

საჭიროდ ვრაცხთ გავახსენოთ „წერა-კითხვის გამ. საზოგადოებას“ ბ-ნ შატბეროვის ადრესი:

Станица Шелкозаводск. (Терской области). Завѣдывающему Шелкозаводскимъ станичнымъ училищемъ М. Шатберову.

ამხანაგობის მონდობილობით

სტუდენტი ი. სიჭინავა

*) ამ შენიშვნის გამოცხადება ადრევე გვქონდა განზრახული, მაგრამ ხელ-მოკლეობის გამო დღემდე ვერ მოვახერხეთ.

Дозволено цензурою, Тифлисъ 6-го Марта 1899г. ტპსამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე